მდინარე სუფსის აუზის ჰიდროლოგიური რეჟიმი
და წყლის რესურსების შეფასება

გიორგი ნამორაძე

ელ-ფოსტა: giorginamoradze70@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

ზედაპირული წყლების რეჟიმი ყალიბდება ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების რთულ ურთიერთდამოკიდებულებაში. აღნიშნული ფაქტორები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: მეტეოროლოგიური ფაქტორები და ქვეფენილი ზედაპირის ფაქტორები. მეტეოროლოგიურ ფაქტორებში ძირითადად იგულისხმება ატმოსფერული ნალექები და აორთქლება; აგრეთვე ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურა; ხოლო ქვეფენილი ზედაპირის ფაქტორებში იგულისხმება - ჰიდროგეოლოგიური პირობები, რელიეფი, ნიადაგისა და მცენარეული საფარი, აგრეთვე აუზის მორფომეტრიული მახასიათებლები.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები და საშუალო მრავალწლიური ჩამონადენის სიდიდე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყალშემკრები აუზის კლიმატურ პირობებზე; მეორეს მხრივ, ამ სიდიდეზე თითქმის არ ახდენს გავლენას ქვეფენილი ზედაპირი. ამ უკანასკნელის ზეგავლენა მატულობს გასაშუალოების პერიოდის შემცირებასთან ერთად. კერძოდ, დღე-ღამური მაქსიმალური და მინიმალური ჩამონადენი დამოკიდებულია კალაპოტის ქანობზე, ნიადაგ-გრუნტების ტენიანობაზე, მიწისქვეშა წყლების დგომის რეჟიმზე და ა.შ.

ნაშრომში განხილულია მდინარე სუფსის წყალშემკრები აუზის მდინარეები, მათი ჰიდროლოგიური რეჟიმი, საშუალო წლიური ჩამონადენი, მაქსიმალური და მინიმალური ჩამონადენი.